თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

# ო ქ მ ი № 03

28 თებერვალი 2022 წ. ქ. თელავი

**სხდომას ესწრებოდნენ:** 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 34 დეპუტატი :

**თავმჯდომარეობდა:** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე -

თენგიზი მთვარელიშვილი;

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მამუკა ბურდიაშვილი;

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრე შათირიშვილი;

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ დაღუნდარიძე;

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლევან ბერძენაშვილი;

საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხაჭაპურიძე;

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თინათინ ხანჯალიაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარის მოადგილეები: თამარ ხატიაშვილი, ოთარ ესიტაშვილი, ზურაბ მოსახლიშვილი, ზურაბ მუსაევი, უჩა ჭოტიაშვილი, ზაზა ტატულიშვილი.

საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილეები: ბაადურ რევაზიშვილი, აბრამ მახარიაშვილი, გიგი გიგიტელაშვილი, ეთერი გურგენაშვილი.

საკრებულოს წევრები: ივანე კირვალიძე, ნიკოლოზ მაისურაძე, გივი ლაფაური, ანა ოთარაშვილი, ეკატერინე ონიკაძე, გიორგი ქართლელიშვილი, ბაადურ გულიაშვილი, ზაქარია გრიშიკაშვილი, ნინო ომანიძე, იმედა კევლიშვილი, ივანე დალაქიშვილი, ნატალია ბახსოლიანი, ზვიადი ხანჯალიაშვილი, რუსუდანი იმერლიშვილი, რამაზ ჩეკურიშვილი, ალექსანდრე კუპატაძე, გელა ესიტაშვილი (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ნიკოლოზ მეტრეველი;

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ნათია ვაყელიშვილი;

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი თავზერიძე;

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსის მ/შემსრულებელი დავით ქსოვრელიშვილი;

N10 ოლქის თელავის, ახმეტის, ყვარლის და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტების მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ირაკლი ქადაგიშვილის ბიუროს თანამშრომელი ნონა გოგატიშვილი;

დემოკრატიული სკოლის ხელმძღვანელი ნიკოლოზ შარვაშიძე;

საკრებულოს აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე;

საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები;

მოქალაქეები: ლალი კბილაშვილი, არჩილ მჭედლიშვილი;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარე სვეტა ნინიკელაშვილი;

მასობრივი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლები.

სხდომის გახსნამდე საკრებულოს თავმჯდომარემ, საკრებულოს სახელით სოლიდარობა გამოუცხადა უკრაინელ მოძმე ხალხს და აღნიშნა, რომ უკრაინის ტერიტორიაზე მიმდინარე საომარი მოქმედებები საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმის უხეში დარღვევაა.

საკრებულოს წევრებმა და დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს საომარო მოქმედებების დროს გარდაცვლილთა ხსოვნას.

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა

<u>დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ.მეტრეველი

2. თელავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ.

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს. გ.თავბერიძე
12.20სთ-დან - 12.40სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იზოლდა ჭყოიძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს. გ.თავბერიძე
12.40სთ-დან - 12.50სთ-მდე

4. გიორგი მარგალიტაშვილის მიერ, ქ. თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე 30 კვ.მ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობის შესრულების ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ;

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს. გ.თავბერიძე
12.50სთ-დან - 13.00სთ-მდე

5. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

მომხს. თ.ხანჯალიაშვილი
13.00სთ-დან - 13.10სთ-მდე

6. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
13.10სთ-დან - 13.20სთ-მდე

7. „თელავის მუნიციპალიტეტში ძაღლების და კატების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ" დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
13.20სთ-დან - 13.30სთ-მდე

დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

<u>1.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს. ნ.ვაყელიშვილი

12.00სთ-დან - 12.20სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: გ.გიგიტელაშვილმა აღნიშნა, რომ მშვიდობის ქუჩაზე იგეგმება ხიდის მშენებლობა, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ კურდღელაურის მოსახლეობისათვის არსებობს სხვა უფრო პრიორიტეტული პრობლემები და ამ ეტაპზე ხიდის მშენებლობა არ არის აქტუალური.

**ნ.მეტრეველმა და დ.ქსოვრელიშვილმა** აღნიშნეს, რომ აღნიშნული ხიდის მშენებლობა გათვალისწინებული იქნა მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე.

**ბ.რევაზიშვილის** მოსაზრებით კი მაღალი გამავლობის ავტომობილის შეძენა არ არის მიზანშეწონილი, რასაც დაეთანხმა გ.გიგიტელაშვილი.

**ნ.ვაყელიშვილმა** აღნიშნა, რომ აღნიშნული სატრანსპორტო საშუალების შესყიდვა განხორციელდება დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოყოფილი თანხით.

**ი.კევლიშვილმა** ისაუბრა იმ გარემოებებზე, რომ მუნიციპალიტეტს გააჩნია უამრავი ხარჯი, რომელიც აუცილებელია შემცირდეს და მერისგან მიღებული იქნა დაპირება ამ კუთხით მუშაობის შესახებ, რაც ამ ეტაპისათვის არ შეინიშნება.

**ბ.გულიაშვილმა** დასვა კითხვა სათვალთვალო კამერების მოვლა შენახვის და რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი თანხების შესახებ.

აღნიშნულ საკითხებზე განმარტებები გააკეთეს **ნ.ვაყელიშვილმა და დ.ქსოვრელიშვილმა.**

**ნ.ომანიძემ** კი აღნიშნა, რომ მუნ იციპალიტეტის სატრანსპორტო საშუალებები გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ სამსახურეობრივი დანიშნულებით.

**მ.ბურდიაშვილმა** ისაუბრა მშვიდობის ქუჩაზე ხიდის მშენებლობის აუცილებლობის შესახებ და აღნიშნა, რომ ამ საკითხზე იყო მოსახლეობასთან შეთანხმება.

**გ.ესიტაშვილმა** მხარი დაუჭირა მშვიდობის ქუჩაზე ხიდის მოწყობისათვის თანხის გამოყოფას და აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში გაუგებარია რატომ უნდა იყოს საკრებულოს წევრი წინააღმდეგი.

ვინაიდან საკრებულომ არ გაითვალისწინა **გ.გიგიგტელაშვილის** მოთხოვნა მშვიდობის ქუჩზე ხიდის მშენებლობისათვის თანხის გამოყოფის საკითხის გადადების თაობაზე, მან პროტესტის ნიშნად დატოვა დარბაზი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 20(ოცი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 13(ცამეტი) წევრმა: **ბ.რევაზიშვილმა, ა.კუპატაძემ, რ.იმერლიშვილმა, ნ.ომანიძემ, ე.გურგენაშვილმა, ნ.ბახსოლიანმა, ზ.გრიშიკაშვილმა, ი.დალაქიშვილმა, ი.კევლიშვილმა, ბ.გულიშვილმა, რ.ჩეკურიშვილმა, ზ.ხანჯალიაშვილმა, ა.მახარიაშვილმა**) .

პირველი საკითხის განხილვის შემდგომ სხდომა დატოვეს **ზ.ხანჯალიაშვილმა და ა.მახარიაშვილმა.**

2.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ.

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს. გ.თავბერიძე
12.20სთ-დან - 12.40სთ-მდე

საკრებულოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ მერიამ გაითვალისწინა ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის რეკომენდაცია ნორმატიული ფასის გაზრდასთან დაკავშირებით.

დაადგინეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 23(ოცდასამი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 08(რვა) წევრმა: **ზ.რევაზიშვილმა, ა.კუპატაძემ, ნ.ომანიძემ, ე.გურგენაშვილმა, ი.დალაქიშვილმა, რ.ჩეკურიშვილმა, ზ.გრიშიკაშვილმა, ი.კევლიშვილმა**) .

3.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იზოლდა ჭყოიძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს. გ.თავბერიძე
12.40სთ-დან - 12.50სთ-მდე

გადაწყვიტეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 25(ოცდახუთი)წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 06(ექვსი) **წევრმა: ზ.გრიშიკაშვილმა, ზ.რევაზიშვილმა, ე.გურგენაშვილმა, ი.დალაქიშვილმა, რ.ჩეკურიშვილმა, ნ.ბახსოლიანმა**).

4.მოისმინეს: გიორგი მარგალიტაშვილის მიერ, ქ. თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე 30 კვ.მ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობის შესრულების ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ;

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს. გ.თავბერიძე
12.50სთ-დან - 13.00სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: **ზ.რევაზიშვილმა, ი.კევლიშვილმა** დასვეს კითხვა პროექტში აღნიშნული მიწის ნაკვეთის მდებარეობის შესახებ.

დაადგინეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 27(ოცდაშვიდი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 04(ოთხი) **წევრმა: ი.დალაქიშვილმა, ა.კუპატაძემ, რ.ჩეკურიშვილმა, ნ.ომანიძემ).**

5.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

მომხს. თ.ხანჯალიაშვილი
13.00სთ-დან - 13.10სთ-მდე

დაადგინეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 29(ოცდაცხრა) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 02(ორი) წევრმა: **ი.დალაქიშვილმა, რ.ჩეკურიშვილმა).**

6.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
13.10სთ-დან - 13.20სთ-მდე

დაადგინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში და ფრაქციებში თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" - ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა განხორციელდეს **2022 წლის 20 მარტამდე.**

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" - დადგენილების პროექტი საკრებულოს წარედგინოს დასამტკიცებლად - **2022 წლის 01 აპრილამდე.**

**დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 29(ოცდაცხრა) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 02(ორი) წევრმა: **ი.დალაქიშვილმა, რ.ჩეკურიშვილმა).**

7.მოისმინეს: „თელავის მუნიციპალიტეტში ძაღლების და კატების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ" დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
13.20სთ-დან - 13.30სთ-მდე

განკარგულების პროექტის წარდგენის შემდგომ, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით პრეზენტაცია გააკეთა ინიციატივის ავტორმა ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **თ.ხანჯალიაშვილმა.**

დაადგინეს: 1. „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში და ფრაქციებში ,,თელავის მუნიციპალიტეტში ძაღლების და კატების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების წესის დამტკიცების შესახებ“ - ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა განხორციელდეს **2022 წლის 20 აპრილამდე.**

2. ,,თელავის მუნიციპალიტეტში ძაღლების და კატების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების წესის დამტკიცების შესახებ“ - დადგენილების პროექტი საკრებულოს წარედგინოს დასამტკიცებლად - **2022 წლის 01 მაისამდე.**

დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 27(ოცდაშვიდი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 04(ოთხი) წევრმა: ა.კუპატაძემ, ზ.გრიშიკაშვილმა, რ.ჩეკურიშვილმა, ი.კევლიშვილმა).

საკრებულოს თავმჯდომარე თენგიზი მთვარელიშვილი